ეროვნული ბიბლიოთეკა

**№ 45.** 28 თებერვალი, სამშაბათი. **1866—1884** 28 თებერვალი, სამშაბათი. **№ 45.**

«დროების» რედაქცია —სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ, 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ უნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

## „დროების" ფასი პირველის მარტიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი.

### შინაური ქრონიკა

≈ აქამდის ექიმები აყლაპებდენ აბებს ავადმყოფებს, ეხლა, როგორცა სჩანს, თითონ ექიმებს გახდომიათ «საბოდ» საქმე. ჩვენს მკითხველებს იქნება არ დავიწყებიათ, რომ ამ დღეებში ჩავაყლაპეთ ცოტა მომწარო აბი ყვირილის მაზრის ექიმს, რომელიც ჩვენს გაზეთს «სიცრუესა» სწამებდა და სიცრუე თითონ კი გამოაჩნდა. ეხლა ამ გვარივე აბი დასჭირებიათ თბილისისა და გორის ექიმებსაც. აი რა ეპისტოლე მოგვივიდა ამ დღეებში ჩვენს გაზეთში გამოსაცხადებლად:

«დროების» **28**-ე **№**-ში დაბეჭდილი წერილის გამო შესახებ ს. ქავთისხევში გადამდები ავადმყოფობის, ქუნთრუშისა და ყვავილის გავრცელებისა, მოეთხოვა განმარტება გორის მაზრის ექიმს, რომელიც თებერვლისას რაპორტით **№ 60** გვაუწყებს, რომ ადგილობრივ, ქავთისხევშივე, შემოწმების შემდეგ «დროების» კორესპონდენცია აღმოჩნდა ცრუ და გამოგონილი.

«ვაცნობებ ამას გაზეთ «დროებას» პირველსავე ნომრებში გამოსაცხადებლად».

«გუბერნიის ექიმი, ვ. კ—ჩი.

ვიდრე ასე თამამად «სიცრუესა» და «გამოგონებას» ვისმე დასწამებდეთ, ბ. ქ—ჩო, სჯობს მარტო «რაპორტს» არ დასჯერდეთ და სხვა უფრო სანდო პირებისაგან შეიგნოთ საქმის გარემოება; თორემ, ხომ მოგეხსენებათ, რა ნაირად არდგენენ ხოლმე ყოველ გვარ რაპორტებს. თუ არ მოგეხსენებათ, ამის შესატყობლად დღეს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ კორესპონდენციაში მაინც ჩაიხედეთ იმავე ქავთისხევიდამ, სწორედ იმავე საგნის თაობაზედ. მაგრამ თქვენ ხომ კორესპონდენცია არა გწამთ და რაპორტს უფრო უჯერებთ, მაშ კავთისხეველ მღვდლის გარდაცვალებულთა სია გადაათვალიერეთ და იქ ამოიკითხეთ, თუ რამდენი ბავშვი გარდაცვლილა ამ უკანასკნელს დროს და ასეთი ხშირი სიკვდილი აიხსნება სხვა რაიმე მიზეზით, თუ არ გადამდები ავადმყოფობით—თუ არა? იქნება, მაშინ საბრალო ბავშვების დედმამის ღაღადმა უფრო გაჰკრას, ვიდრე მაზრის ექიმებისაგან მიღებულმა რაპორტებმა?

≈ წარსულ შაბათს საღამოზედ «წერა-კითხვის საზოგადოების» კომიტეტმა მოახდინა სხდომა ზოგიერთა ამ საქმის თანამგრძნობთა პირთა დასწრებით და აირჩია თითქმის ყველა ჩვენს უმთავრესს ქალაქებსა და დაბებში ამ საქმისათვის გულშემატკივარნი პირნი დამხმარე აგენტებად. როდესაც ამ პირთ გან თანხმობის წერილები მოვა, მაშინ გამოცხადდება, როგორც ინსტრუქცია, ისე სია საზოგადოების აგენტთა.

კომიტეტის სხდომის გათავების დროს ჩვენ ვიყავით მოწამე ერთი სასიამოვნო სანახავისა. ბ. იოსებ დავითიშვილმა მოუტანა «საზოგადოებას» რამდენიმე ხელოსნისაგან შემოწირული სახაზავები და სამკუთხედები. უფრო სასიამოვნო ის არის, რომ ამ გვარი ხელის-მოწერა ხელოსნებს თავისითვე გაუმართავთ და შეუთხზავთ კიდეც მიმართვა სხვა ხელოსნებისადმი. ამ «მიმართვაში», შემდეგ სწავლის საჭიროების ახსნისა, სწერია სხვათა შორის:

«აგერ რამდენიმე წელიწადია საქართველოში არსებობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ანუ ჩვენებურად, გლეხურად რო ვსთქვათ ამხანაგობა. თითო ამ ამხანაგთაგანი იხდის წელიწადში ექვსს მანათს, რომელთაგანაც გროვდება რამდენიმე ასი თუმანი. ამ ფულებით სოფლებში გლეხის შვილებისათვის აღებენ სკოლებს და ამ სკოლებში უგზავნიან მუქთა წიგნებს, ამავე ფულებით ბეჭდვენ სხვა-და-სხვა სასწავლებელ წიგნებს, უგზავნიან კარგს მასწავლებლებს და აგრეთვე უგზავნიან ქაღალდს, ყარანდაშს, მელანს და ყველაფერს, რაც კი სკოლისთვის საჭიროა.

«თქვენ მეტყვით: «იმათ ჰქონიათ და კიდეც შეუწირავთ ექვს-ექვსი მანათი წელიწადშიო, ჩვენ რო არა გვაქვს, რა უნდა შევსწიროთო»... მართალია, თქვენ ვერ შეიძლებთ ექვს-ექვსი მანათის შეწირვას, მაგრამ, ვგონებთ, დროებით ყველანი შეიძლებთ დახმარებას შეძლების კვალობაზედ. ყველა ჩვენთაგანმა თითო შაურიც არის რომ გადავიხადოთ და შევსწიროთ ამ ყოვლად წმინდა საქმეს ჩვენი ღარიბი ჯიბიდან ჩვენი ღარიბი და საწყალი შვილების აღზრდისათვის, ესეც დიდ რასმეს შეადგენს ჩვენთვის... ვინც ერთი შაურის მიცემასაც ვერ შეიძლებს, დეე იმან მონარჩუნებული ფიცრის ნაჭრიდამ გააკეთოს რამ გამოსადეგი «საზოგადოებისათვის»... მაშინ სკოლების დამაარსებელი ამხანაგობა ჩვენთვისაც მოიცლის და საკვირაო სკოლას და ბიბლიოთეკასაც არის დაგვიარსებს თბილისელ ქარგალ-შეგირდებს, საიდამაც გავიგებთ ჩვენის სისაწყლისა და სიღარიბის მიზეზებს. ყველა შემწირველების გვარი და სახელი ჩაწერილი იქმნება ამხანაგობის დავთარში და გაზეთში».

აი ჯერ-ჯერობით ვის რამდენი სახაზავი და სამკუთხედი შემოუწირავს:

დავით ივანეს-ძე ზიგაუროვს ძმებით—**30**, ფასი **2** მ. **50** კ.

სანდრო ჩოდოროვს—**30**, ფასი **2** მ. **50** კ.

პავლე ივანეს-ძე ჩიხვაძეს—**2** მ.

მიხეილ ანდრიას-ძე მამაცოვს—**30**, ფასი **2** მ. **50** კ.

≈ სამეურნო საზოგადოების სხდომაზედ პარასკევს, **24** თებერვალს,

---

«დროების» ფელეტონი, **28** თებერვ.

### მშობლის გული.

(მოთხრობა მ. იოკაისა)

ერთს სატახტო ქალაქში სცხოვრებდა ერთი ხარაზი, რომელიც ვერას გზით ვერა მდიდრდებოდა, თუმცა გამდიდრება ძალიანა სურდა. იმასა სდევდა ეს უბედურება იმიტომ კი არა, რომ კაცობრიობას გადეწყვიტოს მისთვის ფეხშიშველა სიარული, ან ხელოსნების უსტაბაშს ებძანებინოს ნახევარ ფასის ძლევა ნამუშავარში. სრულებითაც არა! მისი ნამუშავარი მუდამ ისეთი იყო, რომ უკეთესი აღარ უნდოდა, და მყიდველებიც ხშირად იტყოდენ ხოლმე, რომ მის შეკერილს წაღებს კაცი თავის დღეში ვერ გასცვეთამსო. მუშტარიც საკმაოდ ბევრი ჰყავდა, ყველანი გარიგებულს ფასს პირ-ნათლად აძლევდენ, მაგრამ ხელოსანმა იანმა მაინც-და-მაინც ვერ მოუყარა ფულებს თავი. ვერ მოუყარა თავი იმიტომ, რომ ზეცა საკვირველად სწყალობდა და წლისა და წლის თავზედ შვილს უბოძებდა ხოლმე, ხან ვაჟსა, ხან ქალს. ყველანი იზდებოდენ თავისთვის, ჯანმთელნი, მხიარულნი და ისე დაცქრიალებდენ, როგორც წყალში თევზები!—ოჰ, მოწყალეო ღმერთო! იტყოდა ხოლმე ჩვენი ხელოსანი, როდესათ მის სახლობას ემატებოდა კიდევ ერთი წევრი,—ოჰ, მოწყალეო ღმერთო, როდისღა ექმნება ამას ბოლო?

და აი დაიბადა მეცხრე შვილი, გარდაიცვალა ცოლი და «ამასაც» ექმნა „ბოლო», თუმცა კი სამწუხარო.

დარჩა ხელოსანი იანი ობლად ცხრა შვილით ხელში და ეს ამბავი ხომ უბრალო საქმე არ არის! ზოგნი მათგანნი სასწავლებელში დადიოდენ კიდეც; ერთისთვის უნდა ესწავლებინა სიარული, მეორე უნდა ხელით ეტარებინა; ერთისთვის უნდა ეჭმია, მეორე რითიმე გაერთო, მესამესათვის პირი დაებანა—ერთის სიტყვით, ყველაზედ უნდა ეზრუნა, ყველას უნდა გასწვდომოდა! და ამას, დაიჯერეთ, ცოტა წვალება არ უნდა! როდესაც ბავშვებისთვის ფეხსაცმელის გამოჭრა დასჭირდებოდა, ხომ უნდა ცხრა წყვილი ერთად გამოეჭრა. ან როდესაც პურსა სჭრიდა—ცხრა ნაჭერზედ ნაკლებ ხომ ვერ მოსჭრიდა?! და როდესაც ლოგინები დაგებული იყო, მაშინ მთელი ოთახი კარებიდამ ფანჯრებამდის გადაიქცეოდა ხოლმე საძილო ოთახად და ყოველგან მოჩანდენ დიდრონი, პაწია, შავი და მოწითანო თავები.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო! ამოხვრით იტყოდა ხოლმე ხელოსანი, როდესაც გათენებამდის იჯდა საქმეზედ და თანაც ასწორებდა ხან ერთი ხან მეორე შვილის ქვეშსაგებს.— ღმერთმა ცხრა შვილი მომცა, მაგრამ მაინც არ შემიძლიან ჩემს ბედს ვუჩივლო: ბავშვები ყველანი მხიარულნი არიან, ლამაზნი და მშვიდნი; მათში, მართალია, გამორჩევით შესანიშნავი არც ერთი არ არის, მაგრამ კუჭები ხომ კარგი აქვთ,—და ცხრა ნაჭერი პურის მოთლა სჯობია, ერთი მინა წამლის ყიდვას. ისა სჯობს რომ თუნდა ცხრა კრაოტი რიგზედ იდგეს, ვიდრე ერთი კუბო მათ შორის. შენ დაიფარე, უფალო, ამისაგან ყოველი მშობელი და ისიც კი, ვისაც, ერთის გარდაცვალების შემდეგ, სრული რვა კიდევ დარჩება.

მაგრამ ტყუილი იყო იანის უფლისადმი ასეთი ვედრება, რადგანაც მას შვილებს სრულიადაც არ ეტყობოდათ, რომ ჰქონიყოთ სურვილი სამუდამოდ თვალების დახუჭვისა; მათ, მგონია, შეეძლოთ ატანა ყოველივე გაჭირვებისა, ამიტომ რომ სიცივე არა სწყენდა და ხმელი პური ხილად მიაჩნდათ.

და აი ერთხელ, შობის წინა დღეს, ხელოსანი იანი, მთელის დღის მუშაობით დაქანცული, გვიან მოეშურებოდა შინისკენ (იმ დღეს მან დაურიგა მუშტარს შეკერილი წაღები, თუმცა ფული ისე ბევრი ვერ მიიღო. იმ ფულიდამ ზოგი წაღების მასალაში მისცა და ზოგიც წვრილ ვალებში დაურიგა). ბაზარში გამოვლის დროს მან დაინახა დუქნებში ბევრი საჩუქრები შობის «იოლკისთვის». იგი შეჩერდა პატარასხანს და იფიქრა.

— ხომ კარგი იქნება, რომ მეც ვიყიდო რამე ჩემი შვილებისათვის?

თავმჯდომარემ აცნობა საზოგადოებას ტელეგრამა ბ. ზ. ჭორჯაძისა, რომლითაც ეს უკანასკნელი თხოულობს შემწეობას საზოგადოებისაგან, რადგან პეტერბურგში უფრო საზოგადოების საქმეზედ წამოვედიო. ზოგნი ამბობდენ—თ. ზაქ. ჭორჯაძეს არ ეკუთვნის შემწეობა, ის «საზოგადოების» წარმომადგენელი არ არისო. ბოლოს დაფარული კენჭის ყრით გადასწყვიტეს, რომ ამ თხოვნაზედ უარი გამოეცხადდეს.

— ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ბანკის კასის გატეხამ მთელს იმერეთზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დიდი უკმაყოფილებაც გამოიწვიაო. კასა თურმე სეკრეტ-მოშლილი იყო და ამ კასაში ეწყო, როგორც ნაღდი ფული, ისე ბანკის საკუთარი **20,000** მანათის გირავნობის ფურცლები, რომელთა ნომრებიც წიგნში არა წერებულა. ეს გარემოება რომ სცოდნოდათ ქურდებს, იქნება ისე პატარა სუმმას არ დაჯერებულიყვნენ და გირავნობის ფურცლებიც თან წაეყოლებინათ, მაგრამ, ალბად, შეშინებიათ, ნომრებზედ არ დაგვიჭირონ და ამიტომ ფასიანი ქაღალდებისათვის ხელი არ უხლიათო.

— იქიდამვე გვწერენ: «14 თებერვალს აკურთხეს ქუთაისში ახლად გახსნილი სახელოსნო გამგეობა, რომელიც დაამტკიცა მთავრობამ 16-ს აგვისტოს წარსულის 1883 წლისა. კურთხევაზედ დაესწრნენ, გარდა ოც-და ექვსის უსტაბაშისა, რომელნიც შეადგენენ ქუთაისის ხელოსანთ წარმომადგენლებს, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი თავისი ამალით, ყოვლად-უსამღვდელოესი იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი თავისის კრებით, ქალაქის თავი, ბ. ასათიანი და სხვანი წარჩინებულნი სამხედრო და სამოქალაქო პირნი. კურთხევის დაწყებამდის ყოვლად-უსამღვდელოესმა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა მიმართა რიგზედ დამდგარ უსტაბაშებს და ხელოსანთა თავსა და თავისი მგრძნობიარე და მრავალ-მნიშვნელობიანი სიტყვებით მშვენივრად ჰქადაგა; შემდეგ შეუდგნენ გამგეობის კურთხევას. ცერემონია რომ გათავდა, ხელოსანთა თავმა სტუმრები მეორე ოთახში საუზმეზედ მიიწვია».

— ხონში ყოფნის დროს, ქუთაისის გუბერნატორს გაუსინჯავს ხონელებისაგან წარდგენილი არზები და, სხვათა შორის, შეუტყობინებია, რომ მთავრობამ ნება მოგცათ ცხენის-წყლიდამ არხის გამოყვანისა და პლანიც დაგიმტკიცათო.

— იქიდამვე იწერებიან, რომ ამ ცოტას ხანში იქ ყოფილა ბ. მიხაილოვსკი რუსული წარმოდგენების გასამართავად, მაგრამ წარმოდგენებზედ ხალხი სრულებით არავინ დასწრებია. ხონელები მაინცა-და-მაინც ძალიან არა სწყალობენო წარმოდგენებსა და საღამოებსა, გვწერს კორესპონდენტი, თუნდაც რომ საქველმოქმედო აზრით იმართებოდენო. მაგ., წარსულს იანვარს ყოფილა საღამო სემინარიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ და ხალხი ისე ცოტა დაესწრო, რომ თქმად არა ღირსო.

— ბოტანიკური ბაღის გვერდით, 25 თებერვალს, ღამის სამ საათზე, შესცვივნია ოთხი თათარი ერთს პატარა ქოხში მცხოვრებს ცხენების დალალს, მაჰმადს, და მოუკლავთ იგი ხანჯლებით. დალალი მაჰმადი ყოფილა 60 წ. მოხუცი ღარიბი კაცი უშვილო, ერთის ცოლით. მაჰმადს მოუსწრია სიკვდილამდის და ერთი ავაზაკთაგანი დაუჭრია ფეხში. ამ ნიშნით, როგორც ისმის, მეორე დღეს პოლიციამ ოთხივე ავაზაკი დაიჭირა. ამბობენ, ვითომც ავაზაკებს უთქვამთ გამომძიებლისთვის, რომ ერთი კაცი ას თუმანს დაგვპირდა, ოღონდ მაჰმადი მოჰკლითო და ჩვენც ამიტომ მოვკალით, და არა ქურდობის გულისთვისაო. იმ კაცის სახელი ჯერ დაფარულია.

— გაზეთს «მხოს» სწერენ გეოქ-ჩაიდგან შემდეგს შემაძრწუნებელს ამბავს: თვე ნახევრის წინად გეოქ-ჩაიში მისულა განჯიდგან ერთი ნუხელი სომხის ქალი, სახელად **სონა**; ამ **სონას** თან ჰყოლია თავისი 11—12 წლის ქალი, რომელიც, რაოდენიმე დღის შემდეგ, დედას მიუსყიდნია 125 მანათად ერთი საროსკიპო სახლის პატრონისათვის. როგორც «მხოს» კორესპონდენტი ამბობს, ადგილობრივმა მთავრობამ არა იცის რა ამ საქმის შესახებ.

## «დროების» კორესპონდენცია.

ს. ქავთისხევი, 19 თებერვალს. ეს ორი თვე მეტი იქნება სოფ. ქავთისხევში გაჩმირებულია ქუნთრუშა, რომელმაც თითქმის ბავშვები სრულიად გაანახევრა. ამ ავად-მყოფობას ქართველი გლეხ-კაცობა ეძახის «ბატონებს» და არავითარ ღონისძიებას არა ხმარობს—მისცეს ავადმყოფ ბავშვებს რაიმე შელავათი ან მედიცინური და ან ჰიგიენური, გარდა ბაზმის დანთებისა, რომელსაც საძაგელი სუნი სდის და მეტად ავნებს ავადმყოფებს. ხალხის ამ გვარ გაჭირვების დროს მღ. დ. ბ—ოვი, რომლის მოვალეობა არის ხალხის დარიგება და რიგიან გზაზედ დაყენება, ხალხს ურჩევს,—არავითარი წამალი არ მიაკაროთ ავადმყოფსაო. თუ ადმინისტრაციამდის მივიდა ავადმყოფობის ხმა, იგი მალავს და ეუბნება ჭორი არისო, რა არის დოქტორების ნახვით «ანგელოზები» არ გაწყრენ. ამ საქმის თაობაზედ მოვიდა აქ დოქტორი ბ. ტერ-მინასოვი ავადმყოფობის დასათვალიერებლად და მის მოსპობის ზომების მისაღებად. ბ. ტერ-მინასოვი, მოვიდა თუ არა ქავთისხევში, პირველადვე იკითხა აქაური სოფლის მასწავლებელი, რომ ავადმყოფების ოჯახები ეჩვენებინა; მაგრამ დ. ბ—ვი და მამასახლისი დახვდენ და მოახსენეს: ბატონო, მასწავლებელი ეხლა შინ არ იმყოფება, ხოლო, რაც შეეხება ქუნთრუშის გავრცელებას ქავთისხევში, ეგ ჭორი მოგონილია იმავე მასწავლებლისაგან, და წინადაც ძალიან სალიანობა სუფევდა და სუფევს აქა, რის დასარწმუნებლად დ. ბ—ვმა მისცა მოწმობა დოქტორს თავის ბეჭდის დასმით.

ეხლა, მკითხველო, რომ ჩაიხედოთ დ. ბ—ვის და მის ქვეშევრდომების დავთრებში, სადაც იწერებიან განსვენებულნი, ამ ორი თვის განმავლობაში ბავშვების საცოდაობა აგატირებთ. ტირიან და იცემენ თავში მშობლებიც, მაგრამ რა ენაღვლებათ დ. ბ—ოვს და ზაქარა მამასახლისს, ესენი უშვილონი არიან!

## უცხოეთი

— მუშების მღელვარება არამცთუ არა სცხრება საფრანგეთში, არამედ, რაც ხანი მიდის, იმდენი უფრო ძლიერდება. აქამდინ მარტო პარიჟში იყო ეს მღელვარება და ეხლა კი თითქმის მთელს საფრანგეთს მოსდებია. გაზეთები გვატყობინებენ, რომ ჩრდილოეთ საფრანგეთ-

---

მაგრამ როგორ? განა ყველა ცხრასთვის? არა, ეგ მე არ შემიძლიან. ვუყიდო მარტო ერთსა? მაშინ ხომ დანარჩენებს შეშურდებათ! არა, თუ მხიარულება უნდა—ყველამ ერთად ვიმხიარულოთ.

მე ვაჩუქებ მათ ისეთს ნივთს, რომელსაც ვერავინ წაართმევს, ნივთს კარგს, ძვირფასს, რომელიც თავის დღეში არ დაეკარგებათ!

— აბა, შვილებო! ყველანი შინა ხართ? იცით, რომ დღეს შობის მწუხრია? დღეს ჩვენ არ ვიმუშავებთ და ამაღამდელი ღამე მხიარულად უნდა გავატაროთ.

შვილები განცვიფრებით მისცვივდენ მამას.

— მოითმინეთ, მე თქვენ გასწავლით კაი გალობას. აი გიგალობებთ და დეე ეს გალობა იყოს საშობაო საჩუქარი თქვენთვის!

სთქვა თუ არა ეს მამამ, შვილები შემოეხვივნენ გარს, ჩამოეკონწიალნენ კისერზედ და დაუწყეს თხოვნა, რომ დაპირებული ეგალობა.

— იმ პირობით კი, რომ ჩუმად იქნებით... აბა, დადექით რიგზედ, ჯერ ყველაზედ უფროსი, შემდეგ მაგის მომდევნო და ეგრე სხვანიც.

ჩამოამწკრივა ხელოსანმა თავისი შვილები რიგზედ, ორი სულ უმცროსი კი მუხლზედ შეისვა.

— აბა, ეხლა კი ჩუმად! მე დავიწყებ და თქვენც ნელ-ნელა მომყევით.

და ჩუმის ხმით დაიწყო შობის საგალობელი: «ბაგასა შინა განისვენებს».

უფროსმა შვილებმა ადვილად შეიგნეს ეს ხმა, უჭირდებოდათ მარტო უმცროსებს და მუდამ ერეოდათ. ბოლოს მაინც დაისწავლეს და იმათ სიხარულს დასასრული აღარა ჰქონდა, რა ნახეს, რომ იმათ წვრილს ხმებს შეეძლოთ საკმაო რიგიანი ხოროთი გალობა.

ასე მხიარულობდენ ისინი, როგორც ანგელოზები ცაში, მაგრამ იმათი სიმღერა აწუხებდა იმავე სახლის პირველი სართულის მდგმურს.

მარტო-ხელი ვაჭბატონი მხიარულად ვერ ატარებდა დროს ცხრა მშვენიერ ოთახში; ერთს ოთახში ის მარტო ისვენებდა, მეორეში პურს მიირთმევდა, მესამეში პაპიროზსა სწევდა, მეოთხეში იძინებდა, და რას აკეთებდა დანარჩენებში—ეგ ღმერთმა იცის.

იმ საღამოს მდიდარი ბატონი იჯდა თავის მერვე ოთახში და ჰფიქრობდა ძალიან მძიმე საგნებზედ, როგორც, მაგალითად: რატომ არ იყვნენ დღევანდელი საჭმელები ჩვეულებრივ გემრიელნი? რატომ იყო დღევანდელ გაზეთში ისე ცოტა საყურადღებო ამბავი? რადა გრძნობს კაცი დიდს ოთახებში სუფთა ჰაერის ნაკლულევანებას? რატომ არ ეჩვენება მას რბილად თავისი მშვენიერი სოფა.—ამ დროს ერთბაშად მოესმა მას ჯერ ჩუმი და მერმე უფრო-და-უფრო ხმამაღლივი საშობაო გალობა. ჯერ ამ ამბავს არ ათხოვა ყური, ეგონა—მალე გათავდებაო, მაგრამ როდესაც გალობა უფრო მაღლა გაისმა, წამოხტა, გამოვიდა თავის სადგურიდამ, მოძებნა ხარაზის სადგური და შეაღო კარები სწორედ იმ დროს, როდესაც მგალობლებმა გადასწყვიტეს ცოტათი შესვენება.

ხარაზმა მიიღო ის დიდის პატივით.

— თქვენა ხართ ხარაზი იანი?—ჰკითხა მდიდარმა სტუმარმა.

— დიახ, ბატონო. თქვენ იქნება გნებავთ იყიდოთ ჩემგან კარგი ახალი წაღები?

— არა, მე მაგისთვის არ მოვსულვარ. თქვენ ბევრი შვილები გყავთ?

— დიახ, მოწყალეო ბატონო, ბევრი, საკმარისად ბევრი მყავს. არიან დიდებიც, არიან პატარებიც და ყველა ამათი პირები პურსა თხოულობენ.

— კარგი, მაგრამ ყველას პირებს გალობაც შესძლებიათ. იცით რა, უსტაბაშო, მე მსურს ავიყვანო ერთი თქვენი შვილთაგანი და გავხადოთ ბედნიერი კაცი. მე აღვზრდი ბავშვს, როგორც ჩემს საკუთარს შვილს. ის წამომყვება სამზღვარ-გარედ, გახდება მდიდარი კაცი და შეეწევა დანარჩენ ძმებსა და დებს.

გაუკვირდა ჩვენს ხელოსანს.

იმის ერთ-ერთს შვილს შეუძლიან დიდი კაცი გახდეს! და აბა ამას ვინ არ მოინდომებს? ეს ხომ უდიდესი ბედნიერებაა!

— აბა, ამოირჩიეთ, რომელიც გნებავთ, მაგრამ ჩქარა კი.

შიაც შეუკრავთ მუშებს პირი და აღარ მუშაობენ თურმე, ვიდრე ქირას არ მოუმატებენ; მაგალითად, დენენში, ქვა-ნახშირის მადნებზე, სადაც 11,400 კაცი მუშაობს, 22 თებერვალს მარტო 4600 მუშა-ღა მისულა სამუშავოდ. შეუტყვიათ თუ არა ეს ამბავი ანზენის, გალანსიეს, ხამბრეს და სხვა ქალაქების მუშებს, იმათაც მაშინათვე უარი გამოუცხადებიათ მუშაობაზე. ამ ადგილებში არამცთუ ქვა-ნახშირის მთხრელ მუშებს, ფეიქრებსაც კი შეუკრავთ პირი და აღარა მუშაობენ. რით გათავდება ეს ამბავი,—ეს ჯერ არავინ იცის; ცხადი მხოლოდ ის არის, რომ ქვა-ნახშირის მწარმოებელ და სხვა კომპანიათ დიდი ზარალი ეძლევათ მუშების მღელვარებისაგან. როგორც ზევითა ვსთქვით, მუშების ამბოხება ამ ჟამად დენენიდგან დაიწყო და მსწრაფლად გავრცელდა სხვა ადგილებშიაც. ამის მიზეზად შემდეგს გარემოებას ასახელებენ. დენდენის ქვა-ნახშირის მადნებში მრავალი მოხუცი, დამახინჯებული და სუსტი მუშა იყო თურმე; მათ მუშაობა აღარ შეეძლოთ და კომპანიები სამადლოდ თურმე აძლევდენ ჯამაგირს; ამის გამო კომპანიებს ზარალი მოსდიოდათ, რადგანაც ხარჯი დიდი ჰქონდათ და ქვა-ნახშირს კი ფასი არ ემატებოდა; ბოლოს კომპანიების საქმე ისე ცუდად წავიდა, რომ სხვა კომპანიებმა დაუწყეს ცილობა და კინაღამ იმათ იგდეს ხელში ეს მადნები. საქმის ამ გვარმა მდგომარეობამ, რასაკვირველია, ძლიერ შეაფუცხუნა ქვა-ნახშირის მწარმოებელი კომპანიები და იძულებულნი გახდა შეემცირებინა ხარჯი შემოსავლის კვალობაზედ. ამისაგამო დაითხოვეს ის მუშები, რომელთაც მუშაობა აღარ შეეძლოთ და ჯამაგირს კი იღებენ. კომპანიების დირექციამ კარგად იცოდა, რა შთაბეჭდილებასაც მოახდენდა საზოგადოდ მუშებზე ამათი დათხოვნა, იგი კარგად გრძნობდა, მომავალში რა შედეგიც ექნებოდა ამ ამბავს და, საქმე რომ უფრო არ გაეფუჭებინა, დათხოვნილს მუშებს აღუთქვა ნახევარ-წლის ჯამაგირი და პენსია 100 ფრანკიდგან 250-მდის. ამასთანავე გამოუცხადა მუშებსა, რომ დირექცია სამუდამოდ აწესებს ამ ჯამაგირს და პენსიას იმ მუშებისთვის, რომელნიც სიბერის, სისუსტის და სხვა ამ გვარი მიზეზების გამო იძულებულნი იქნებიან მუშაობას თავი დაანებონ. მაგრამ ქვა-ნახშირის მთხრელი მუშები არ მოსტყუვდენ, იმათ იფიქრეს, რომ ამ გვარი დღე ყოველს მათგანს მოელის და პირდაპირ გამოუცხადეს დირექციას, რომ იმათ სულ ისევ უწინდელი წესები დარჩენ. მუშები იმან უფრო აალელვა, რომ დირექციამ, სხვათა შორის, გამოაცხადა — ზემოხსენებულს ჯამაგირს და პენსიას გაძლევთ დათხოვნილს მუშებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელნი ვერაფერს სამუშავოს ვერ იშოვნიან თავის სარჩენად.

ბოლოს საქმე იქამდინ მივიდა, რომ ქვა-ნახშირის მწარმოებელთა კომიტეტი იძულებული გახდა გამოიკვლიოს, რა საშუალებით შეიძლება მუშების დაკმაყოფილება და მათი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება. აქამდის პენსიის წიგნებს, როდესაც პენსიის მქონე მუშები ერთი კომპანიიდგან მეორეში გადავიდოდენ, მალე ჰკარგებოდათ და მათი პატრონები პენსიას ვეღარ საიდამ იღებდენ; ეხლა ხსენებულს კომიტეტს უნდა საქმე ისე მოაწყოს, რომ მუშებს პენსიის ფული კომპანიების კასაში კი არა, მმართებლობის საპენსიო კასაში შეჰქონდეთ და შემდეგ პენსიასაც იქიდამ იღებდენ, როდესაც დაიმსახურებენ მას. ეს აზრი გონივრულია, რადგანაც მუშას, რომელ კომპანიაშიაც უნდა იყოს, პენსია არაოდეს არ დაეკარგება და ყოველთვის მიიღებს მმართებლობისაგან. კომიტეტის მუშებზე მზრუნველობა ამით არ თავდება: ამას გარდა, აპირობს თურმე გამართოს თავ-შესაფარი ადგილები იმ მუშებისთვის, რომელთაც მუშაობის თავი აღარ ექნებათ, და იქ აცხოვრებს ისინი.

მაინც-და-მაინც მუშები კომიტეტის მათზე ამ გვარი «მზრუნველობის» შემდეგაც არა სცხრებიან და, რამდენიც დრო მიდის, იმდენი უფრო ძლიერ მღელვარებენ. შემდგომ მოსული ამბებიდგან ვტყობილობთ, რომ მუშები ჯგუფებით დამდგარან დენენში ქვა-ნახშირის მადნების კარებებთან და აღარავის უშვებენ იქ სამუშავოდ. მთელი ბრიგადა გაუგზავნიათ რუშენიდგან დენენში იმათ დასამშვიდებლად. გრენაში, ანზენში და კრუეში თითქმის ყველა მუშებს შეუკრავთ პირი და აღარ მუშაობენ თურმე; კიე-კონდეში ხომ სრულიად შეჩერებულა თურმე მუშაობა. მღელვარება ცეცხლივით მსწრაფლად ედება თურმე ერთი ადგილიდგან მეორეს; გრანჟანში და სენ-სუპლეშიაც სამასს მუშა ფეიქარს შეუკრავს პირი და აღარა მუშაობენ.

ამას გარდა, 25 თებერვალს არმანტიერში ანარხისტებს ერთი საშინელი ამბავი მოუხდენიათ. წინა დღით ყრილობა ჰქონიათ და ამ ყრილობაზედ გადაუწყვეტიათ შურის-ძიება ვიღაც მედუქნე ვაზლუსი, რომელზედაც ეჭვი ჰქონიათ, ვითომც ის ჯაშუშია. ათმა ანარხისტმა ყველიერში ბერიკულად ჩაიცვეს თურმე და დაეცნენ ვაზლუს სახლს. ამ უკანასკნელის მეგობრებმა შეიტყვეს მათი განზრახვა და დაუხვდნენ წინ. გაიმართა დანების და ხანჯლების ტრიალი. ერთი ანარხისტთაგანი იქვე მოუკლავთ, სამი სასიკვდილოდ დაჭრილა და ხუთიც ძალიან.

ანარხისტებს ჩრდილოეთ საფრანგეთში, სადაც კი მუშები პირს ჰკრავენ და აღარ მუშაობენ, ყველგან პროკლამაციები გაუკრავთ, რომლებითაც აღელვებენ მუშებს და აჯანყებას უქადაგებენ. პრეფექტის თაოსნობით სენტ-ეტიენის მუნიციპალურს რჩევას 50,000 ფრანკი დაუნიშნავს იმ მუშებისთვის, რომელნიც უსამუშავოდ დარჩნენ.

— ამ დღეებში საფრანგეთის აკადემიას ამოურჩევია თავის «უკვდავ» წევრად წარჩინებული ინჟინერი ლესეპსი, რომელმაც, როგორც მკითხველებმაც იციან, მრავალთა მოღვაწეობათა შორის, ორი დიდებული და ფრიად კეთილი საქმე გააკეთა,—ეს არის სუეცის და პანამის არხების გაყვანა. ვგონებთ, უადგილო არ იქნება — ორიოდე სიტყვით გავაცნოთ მკითხველს ამ გამოჩენილი კაცის ხასიათი და ცხოვრება. ფერდინანდ ლესეპსი ეხლა სამოც-და-ცხრამეტი წლისაა და, თუმცა ასე მოხუცებულია, მაგრამ ისეთი მხნე და მომქმედია კიდევ, რომ ძნელად დაიჯერებს კაცი, თუ ის ამ ხნისაა. ამასთან ძლიერი კარგი ხასიათებიცა აქვს თურმე: მეტის-მეტად უბრალო, თავდაბალი და ზრდილობიანია, სძაგს თავგამოდება და მედიდურობა. სცხოვრობს ძლიერ უბრალოდ; თავის დღეში არაფერს არას მოიჭარბებს და ეს არის იმის მიზეზი, რომ ამ ხანში ისე ჭარმაგად და მხნედ არის. ყოველ-დღე იბანს ტანს ცივის წყლით. ცხენზედ ჯდომა ძალიან უყვარს და კიდეც დასეირნობს ყოველ-დღე ცხენით. მეორედ არის თურმე დაქორწინებული და ათი შვილი ჰყავს.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

26 თებერვალს.

ბერლინი. დღეს, სრულიად რუსეთის იმპერატორის დაბადების დღეობის გამო, სასახლეში გამართულ-იქმნება დღესასწაულებრივი ნადიმი.

მომავალი კვირის დამდეგს მოვა აქ დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს-ძე.

პარიჟი. ხმებია, ვითომც მმართებლობას განზრახვა ჰქონდეს მიიღოს ზომები წინააღმდეგ ორ-

---

ხარაზმა დაიწყო ამორჩევა.

— ამას პაოლი ჰქვიან. ეგ მშვენივრად სწავლობს, მაგისაგან ძალიან კაი ღვდელი გამოვა და ამიტომ მაგას ვერ მოგართმევ. მაგის მომდევნო ქალია და ქალები ხომ მოწყალე ბატონს არ ეჭირვება. ქალის მომდევნო ფრანკია, ეგ მე მუშაობაში მშველის, და, აბა, მაგის მოშორება როგორ შემიძლიან; მერმე—იანკსა, მაგას ჩემი სახელი ჰქვიან და ამიტომ არც მაგის მოცემა შემიძლიან. შემდეგი იოსებია; ეგ საყვარელი შვილი იყო თავის უბედური დედისა; მას კუბოშიაც არ ექმნება მოსვენება, რომ მისი საყვარელი შვილი მივცე ვისმე სხვას!

ორი დანარჩენი ხომ ძალიან პატარები არიან, და მოწყალე ბატონს ისინი არ ეჭირვება.

გადათვალა იანმა ყველა თავისი შვილები და ამორჩევით კი ვერც ერთი ვერ ამოირჩია.

— შვილებო,—სთქვა იმან მაშინ,—აბა, თქვენ თვითონ სთქვით, რომელს თქვენგანს უნდა გამოვიდეს დიდი კაცი და იაროს კარეტებით? აბა, სთქვით.

ამ სიტყვების გამოთქმის დროს უბედური მამა კინაღამ ატირდა, შვილები კი პასუხის მაგიერ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ეკვრებოდენ ხელებზედ, ფეხებზედ, წინ-საფარზედ და ცდილობდენ როგორმე მოჰფარვიყვნენ დიდ-კაცს.

ხარაზმა ჩაიკრა გულში ერთად ყველა თავისი შვილები და იმას მწარე ცრემლებით მომტირალს ბავშვების თავებზედ მხურვალე ცრემლები ხშირს წვიმასავით წამოუვიდა თვალებიდგან.

— არა, ჩემო კარგო ბატონო! მთხოვე სხვა, რაც გინდა, და შვილებს კი ვერავის დავუთმობ, თუმცა ზეცამ საკმაოდ ბევრი მომცა!

— ვხედამ, ვხედამ—წარმოსთქვა მდიდარმა კაცმა,—რომ თქვენ არ შეგიძლიანთ აღმისრულოთ თხოვნა. აბა, მაშ ერთი ძალიან დამავალეთ და მოსვენებას ნულარ გამიფთხობთ, ნულარ იგალობებთ ხოლმე ბავშვებიან ერთად. ამაში მე გაძლევთ ათასს ოქროს.

«ათასს ოქრო»-ზედ ხელოსანს იანს ლაპარაკიც კი ბევრჯერ არა ჰქონია და ეხლა კი თავის საკუთარს ხელში ატრიალებდა მათ. მდიდარი კაცი შინ წავიდა, ხელოსანმა კი ერთი კიდევ გასინჯა ოქროები და შიშით მიმალა წალოში.

დაჩუმდა თვითონ, დაჩუმდენ შვილებიც: მღერისა და გალობის ნება აღარა ჰქონდათ იმათ. უფროსი შვილები, შეშინებულნი, ჩამოსხდნენ კერასთან და წამ-და-უწუმ აგონებდენ უმცროსებს, რომ არ ემღერათ, თორემ მდიდარი კაცი გაიგონებსო. თვითონ ხელოსანიც დადიოდა ერთი კუთხიდამ მეორეში, და როდესაც მისი მეუღლის საყვარელმა შვილმა სთხოვა, რომ კიდევ ეთქვა მათთვის მშვენიერი გალობა, მან ხელი ჰკრა და უთხრა:

ჩვენ გალობა აღარ შეგვიძლიან. შემდეგ დაუჯდა დაზგას და დაიწყო მუშაობა. ერთ-ბაშად იმან ძველებურად მოჰყვა ღიღინს, მაგრამ მალე მოვიდა გონზედ, იტკიცა შუბლში ხელი, მარდად ადგა, გაალო წალო, გამოიღო ოქროები და გაიქცა მდიდართან.

— მოწყალეო ბატონო! წაიღეთ, ღმერთი გადღეგრძელებთ, თქვენი ოქრობი ისევ უკან, რომ თვალით აღარ დავინახო და შემეძლოს, როცა მინდა, თავისუფლად სიმღერა; ჩემი შვილების სიხარული ჩემთვის ათას ოქროზედაც უძვირფასესია.

ამ სიტყვების შემდეგ, დასტოვა იქ ფული, დაბრუნდა თავის სადგურში, დაუწყო შვილებს ალერსი, ჩამოამწკრივა ისევ ძველებურად და.... სიმღერა ისევ გაისმა სახლში. ბავშვები ისევ ისე გამხიარულდენ და, მგონია, უფრო ძლიერა, ვიდრე კვლავ მხიარულობდენ.

მდიდარი ვაჭ-ბატონი კი დადიოდა თავის ცხრა ოთახში და ჰფიქრობდა:

— საკვირველია, ღმერთმანი, რა ამხიარულებს ხალხს ამ მოსაწყენ წუთი-სოფელში და ან საიდამ წარმოსდგება ეს სიხარული?

ი. რევიშვილი.

ლეანთა პრინცებისა და საზოგადოდ როიალისტებისა; განსაკუთრებით ენერგიულად თხოულობენ პრიცნების განდევნას რადიკალური ჟურნალ-გაზეთები, რომელნიც აბრალებენ პარიჟის გრაფს, ვითომც ის კარგად ატარებდეს თავის აზრს რესპუბლიკანურ სენატორებსა და დეპუტატებს შორის.

პეტერბურგი. დღეს, ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეობის გამო, ქალაქი მორთულია დროშებით; დილის ცხრა საათზე ისაკის სობოროში უმაღლესი სასახლის დიდებულთა და გენერალი შეასრულეს ტეტის თანადასწრებით სამღთო ლიტურგია, რის შემდეგაც გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი. უმაღლესს სასახლეში მილოცვა არ იქნება.

შინაურ საქმეთა მინისტრი, უგზავნის რა გუბერნატორებს ცირკულიარს, აქცევს მათს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ზოგიერთა საზოგადოებრივ კრებებზე: ქალაქებისა და ერობებისაზე ზოგჯერ ისეთს საგნებზედა აქვთ სჯა, რომელნიც არ ექვემდებარებიან საზოგადოებრივთა დაწესებულებათა უწყებას, და, რადგანაც შეიძლება ეს იმიტომ ხდებოდეს, რომ თავმჯდომარენი არ ასრულებენ თავიანთ თანამდებობათ, მინისტრი იწვევს გუბერნატორებს, რათა მოელაპარაკნენ თავმჯდომარეთ და აუხსნან მათ ის პასუხის-გება, რომელსაც იგინი ეგებიან დადგენილი წესების დარღვევისათვის.

5 მაისიდამ 15-დინ იმპერატორის რუსსიის ბაღოსნობის საზოგადოება მართავს პეტერბურგში ბაღეულობის გამოფენას და ბოტანიკების და მებაღეთა კონგრესს.

ხმებია, ვითომც ბაჟი ისპობოდეს იმ ნახშირზედ, რომელიც ბალტიის პორტებში შემოდის.

კონსტანტინეპოლე. ინგლისის ესკადრა, რომლის უფროსათაც ედინბურგის ჰერცოგია და რომელიც ექვსი ჯავშნიანი და ორი მათვალიერებელი გემებისაგან შესდგება, კუნძულ კანდიასთან მოვიდა და იქ ნავთ-სადგურში გაჩერდა.

პარიჟი. აქაურს გეოგრაფიულს საზოგადოებას ქერმენ ბაბსტმა უამბო თავის მოგზაურობა დაღესტანში. როდესაც მოგზაურმა ლაპარაკში ახსენა რუსეთის იმპერატორი, დარბაზში გაცხარებული ტაშის-კვრა ასტყდა.

პეტერბურგი. გუშინ ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს ყველგან პარაკლისები გადაიხადეს. ბევრს ქალაქებში ილიუმინაციებიც იყო.

კაირი. ადმირალმა ჰიუეტმა მოსთხოვა ოსმან დიგმას იარაღის დაყრა და გამოუცხადა რომ თუ ორშაბათამდის პასუხს არ მომცემ, ინგლისის ჯარს გამოვგზავნი შენს წინააღმდეგო.

ბერლინი. გუშინ საპარადო სადილზედ იმპერატორმა ვილჰელმმა დალია რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელო. ამ დროს მუსიკა რუსულ ჰიმნს უკრავდა.

«ჩრდილო გერმანიის საზოგადო გაზეთი» ამბობს, რომ პრუსიის პრინცი ჰენრიხი კინაღამ არ დაიღუპა პოდდინგტონის ვოგზალზე, სადაც იმყოფებოდა იგი გერმანიის საელჩოსთან ერთად იმ დღეს, როცა აღმოაჩინეს განზრახვა ვოგზალის აფეთქებისა; აფეთქება მხოლოდ შემთხვევის გამო არ მოხდა, რადგან ჯოჯოხეთის მაშინაში ზეთი ჩაწვეთებული იყო.

ლიონი. შაბათს «მესაჟერის» კანტორაში ვიღაცამ მისცა პარიჟის გრაფის სახელობაზედ რაღაც საეჭვო შესახედავი გასაგზავნი. ეს გასაგზავნი ფთხილად გახსნეს და შიგ ნახეს ყუმბარა, რომელიც უნდა აფეთქებულიყო, თუ სიფთხილით არ გახსნიდენ.

### «დროების» ფოსტა.

მაკვანეთელს. თქვენი წერილი მივიღეთ, მაგრამ ვერ დავბეჭდავთ, თუ საქმის გარემოებას სხვა გზითაც არ შევიტყობთ.

ხ—ს. ტ. ზ—ძეს. გვიგზავნეთ მარტო წვრილ-წვრილი ამბები და ჟერ-ჟერობით «ფელეტონებს» თავი დაანებეთ.

თ—ე ს—ელს. ზ. ქ—ძისაგან ხუთი მანათი მივიღეთ, ისიც გვიან; გაზეთი იმიტომ დაგიგვიანეთ. დანარჩენი ორი მანათიც რომ არ მივიღოთ, გაზეთს მაინც წლის დამლევამდე გიგზავნით. კვლავ პირ-და-პირ რედაქციას მომართეთ ხოლმე.

თ. ლ. ჯ—ერს. ი—თვს არაფერი გადმოუცია. გაზეთს გიგზავნით.

# განცხადებანი

## ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევები სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, ნავირები კაცისა და ქალისა, ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდელები, საბაღო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, გლიტკები, ინგლისის თოფები და რვოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—68)

სკლობუსო კალმები

რომლებიაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი საავენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, უოველის „ხელსათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რგულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხის იატაკისათვის კლოინკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, საკარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინიკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მუკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტულები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაგინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—40)

## სტამბა

### ევთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრექტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—35)

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 თებერვლიდამ 1 მარტამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა | —1 | გ. | 2 1/2 |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა | —1 | გ. | 3 1/2 |
| მესამისა | —1 | გ. | 3 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა | —1 | გ. | 3 1/2 |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 9 კ. |
| მეორის | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 9 კ. |
| ღორის ღორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის | —1 | გ. | 7 კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Дозв. ценз. Тифлисъ, 27 Февраля 1884 г. ექ. ხელაძის სტამბა (Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ზ. ჭართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.